

ინოვაცია და კრეატიული მენეჯმენტი ორგანიზაციებში

ანოტაცია

XXI საუკუნეში მენეჯმენტის წინაშე დადგა მნიშვნელოვანი პრობლემები. სწრაფად ცვალებადი ტექნოლოგიური ცვლილებების გამო, ბიზნესის მართვის გზები და მეთოდები იცვლება, იხვეწება და ერგება ბაზარზე მიმდინარე პროცესებს. თუ ადრე მენეჯმენტის თეორეტიკოსებმა დასაბუთებულად წარმოაჩინეს ბიუროკრატიის, მისი იერარქიული სტრუქტურის ზედმინევენით დახვეწილი წესებისა და პროცედურების როლი და მნიშვნელობა, თანამედროვე პირობებში ეს არ აღმოჩნდა საკმარისი, ვინაიდან ორგანიზაციებს უნევთ მოღვაწეობა უწყვეტი ცვლილებების პირობებში, ფაქტორთა მზარდი ურთიერთგავლენებისა და კრეატიული ნაკადების გათვალისწინებით, რაც ორგანიზაციის მხრიდან ცვლილებებს და მისი მუდმივად ცვლადი პირობების მიმართ მაღალი ადაპტირების უნარის გამომუშავებას მოითხოვს არა დოგმებზე დაყრდნობით, არამედ ახალი ფორმებისა და მეთოდების გამოყენებით.

საკვანძო სიტყვები: ინოვაცია, კრეატიულობა, კრეატიული მენეჯმენტი, კრეატიული აზროვნება, შემოქმედებითობა, კონკურენტუნარიანობა.



ელისო ლანჩავა
სოხუმის სახელმწიფო
უნივერსიტეტის
ბიზნესისა და სოციალურ
მეცნიერებათა ფაკულტეტის
ასისტენტი პროფესორი

INNOVATION AND CREATIVE MANAGEMENT IN ORGANIZATIONS

Eliso Lanchava
Assistant Professor
Faculty of Business and Social Sciences
Sokhumi State University

ANNOTATION

In the 21st century, management faced significant problems. The strategies and methods of business management are evolving, improving, and adapting to the current processes in the market as a result of the quickly changing technological developments. Even though earlier management theorists arguably justified the role and

significance of bureaucracy, its hierarchical structure, and its painstakingly crafted rules and procedures, in contemporary circumstances, this is insufficient because organizations must operate in environments of constant change, taking into account the growing mutual influences of factors and creative flows that lead to changes on the part of the organization and its constant being highly adaptable to changing circumstances necessitates not relying on dogmas but rather utilizing novel forms and techniques.

Keywords: Innovation, creativity, creative management, creative thinking, creativity, competitiveness.




საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი ელემენტი საწარმო (ორგანიზაცია), რომელმაც ისეთი მართვის სისტემა უნდა ჩამოაყალიბოს, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს მაღალი სამუშაო ეფექტურობა, კონკურენტუნარიანობა და ფინანსური სტაბილურობა. ბიზნესის განვითარება ნიშნავს კონკურენციის ზრდას, რომლის პირობებში აუცილებელია ბიზნესმოდელებისა და ბიზნესსტრატეგიის ცვლილება, განახლება, ასევე ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა. თანამედროვე, სწრაფად ცვალებად და კონკურენტულ გარემოში ორგანიზაციების ინოვაციური მზაობა არის მათი გადარჩენის საშუალება. ორგანიზაციებს, რომლებიც ნერგავენ ინოვაციებს, უფრო მეტი შანსი აქვთ საკუთარი პრო-

დუქციის ან მომსახურების ექსპორტი განახორციელონ და მეტი მოგება მიიღონ, ვიდრე ისეთმა ორგანიზაციებმა, რომლებსაც ინოვაციებთან არავითარი შეხება არა აქვთ. ინოვაცია განიხილება როგორც უკეთესი გადაწყვეტილების შექმნის პროცესი, რომელიც წარმოიქმნება ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად ახალი პროდუქტების, ტექნოლოგიების, სერვისების შექმნისა და დანერგვის გზით. კომპანიის კონკურენტუნარიანობისათვის მნიშვნელოვანია ტექნოლოგიური ინოვაცია, რადგან პროდუქტიულობის ზრდა მიიღწევა ინოვაციების დანერგვით. მრავალი კვლევა ცხადყოფს, რომ ხოლოდ შიდა კომპეტენცია და კლიენტის მოთხოვნების ცოდნა ვერ ქმნის ინოვაციას. ინოვაცია ვითარდება

მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანია ტექნიკურად გამართულია, შეუძლია მომხმარებლის მოთხოვნების იდენტიფიცირება და შესრულება პროდუქტებისა და პროცესების განვითარება / გაუმჯობესების გზით. საზოგადოებრივი განვითარების თანამედროვე ეტაპზე მიმდინარე გლობალური პროცესები მოითხოვს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ახალი მიდგომების ფორმირებას. დღეს, ინოვაციური ეკონომიკის პირობებში მმართველობითი მეცნიერების განვითარების უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ მიმართულებას წარმოადგენს კრეატიული მენეჯმენტი, რომლის ელემენტების გამოყენება განვითარების თანამედროვე ეტაპზე გულისხმობს მართვის პროცესში არატრადიციული ხერხებისა და მეთოდების დანერგვას. საჭიროა მართვა გვესმოდეს როგორც უნარი, აღწევდეს დასახულ მიზნებს სხვა ადამიანების შრომის, ინტელექტისა და ქცევის მოტივების გამოყენებით. კრეატიული მენეჯმენტი ეს არის შემოქმედებითი აზროვნების პროცესის მართვა (ინდივიდუალური და გუნდური), რომელიც ორიენტირებულია კრეატიულ შედეგებზე. თანამედროვე ეპოქაში, საინფორმაციო და ინოვაციური ეკონომიკის პირობებში, უკვე სისტემატურად აღმოცენდება ახალი პრობლემები, ამოცანები, რომლებიც დაკავშირებულია ახლის ძიებასთან, გაურკვეველობის პირობებში მათი გადაწყვეტის ახლებურ მიდგომებთან, აგრეთვე არასტანდარტულ, კრიზისულ სიტუაციებთან. სწორედ ეს გარემოება განსაზღვრავს ორგანიზაციების მიერ კრეატიული მენეჯმენტის აქტიურად გამოყენების აუცილებლობას. კრეატიული მენეჯმენტი ორგანიზაციებისათვის ეფექტური მმართველობის იმ სოციალურ-ეკონომიკურ ინსტრუმენტს წარმოადგენს, რომელიც ემსახურება ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორის, თანამედროვე ორგანიზაციული ქაოსის გადალახვას, რომელიც არც თუ ისე იშვიათად გვხვდება მმართველობით საქმიანობაში. კრეატიული მენეჯმენტის საფუძველს წარმოადგენს კრეატიული აზროვნება, შემოქმედებითი უნარები, შესაძლებლობები. შემოქმედება დიდი ხანია გასცდა მხოლოდ ხელოვნების დარგებს და ყველა სფეროში

გააბა „ქსელური კავშირები“. კრეატიული აზროვნება პიროვნების რეალიზაციის აუცილებელი მამოძრავებელი ძალა და ერთგვარი მუხტი გახდა საზოგადოების განვითარების ასპარეზზე, ხოლო ყველა პროცესს მართვა სჭირდება, იქნება ეს პროცესი გლობალური, ეროვნული თუ პიროვნული. არსებული მიდგომები ეფექტიანი აღარ არის და საჭიროებს დახვეწას, ამიტომ წარმოიშვა მენეჯმენტის მეცნიერული განვითარების მთავარი სტრატეგიული მიმართულება - კრეატიული მენეჯმენტი. ორგანიზაციის მართვის, სტრატეგიული და მარკეტინგული ამოცანების ფორმულირებისა და ამოხსნისას პოტენციური შედეგის ეფექტიანობა დამოკიდებულია ისეთ ფაქტორზე, როგორცაა ადნისტრაციისა და შემოქმედებითი ჯგუფების კრეატიულობის დონე. კრეატიულობა საზოგადოების განვითარების ძირითად წყაროს წარმოადგენს. ზოგადად, კრეატივი არის შემოქმედებითი იდეების გენერირება, ხოლო კრეატიულობა მენეჯმენტში წარმოადგენს ფენომენს, რომლის საშუალებებითაც ხდება რაღაც ახლის, განსხვავებულის, ღირებულის შექმნა. მენეჯმენტის ტრადიციული მოდელების პრინციპები, რომლებიც გაცილებით ეფექტიანად გამოიყურებოდნენ შედარებით ნელი და პროგნოზირებადი ეკონომიკური პროცესების დროს, მოუქნელი და არაეფექტური გახდნენ თანამედროვე პირობებში. წარმატების მოპოვებისათვის საჭირო ხდება უფრო ახალი და დაგროვილი ცოდნის ჰიბრიდული კომბინირება, რომელიც საბოლოოდ უნდა აისახებოდეს სტაბილური კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფაში. მართვის პროცესში მიღებული გადაწყვეტილებები, როგორც ინტელექტუალური შრომის პროდუქტი, განსაკუთრებული და კონკურენტუნარიანი ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ტრანსფორმირდება დაგროვილი ცოდნის ახალ ერთობლიობაში, ან უკვე არსებულ ცოდნას ემატება თუნდაც ისეთი მარცვალი, რის შედეგადაც ის ავლენს უკეთეს თვისებებს. კრეატიული მენეჯმენტი ითვლება ორგანიზაციის ძირითად ატრიბუტად, ეს არის შემოქმედებისა და მენეჯმენტის პრინციპების ცნებებისა და მიდგომების სინთეზი. კრეატიულობას გადა-



მწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბიზნესის წარმართვისათვის, განსაკუთრებით, ისეთ ტექნოლოგიურად განვითარებულ სფეროში, რომელიც უშუალოდ ცოდნას ეფუძნება. ინოვაციური აზროვნება და ინტელექტი პროვოცირებას უწევს კრეატიულობას თანამშრომლებში. კრეატიულობის დამახასიათებელია გამოავლინოს ადამიანის შესაძლებლობები, აღმოაჩინოს პრობლემური ამოცანების გადაწყვეტის ახალი გზები და საშუალებები, უარი თქვას აზროვნების წესებისა და საშუალებების სტერეოტიპებზე, ახლებურად შეხედოს არსებულ და ცნობილ სინამდვილეს. სწორედ, კრეატიული მენეჯმენტის მიზანს წარმოადგენს სრულად გამოავლინოს ადამიანთა შემოქმედებითი შესაძლებლობები, მაშინ როდესაც ტრადიციული ადმინისტრაცია ეფუძნება კარგად დამკვიდრებული წესების მქონე პირების მიერ განხორციელებულ საქმიანობას, უგულებელყოფს მათ ინიციატივას. კრეატიული მენეჯმენტი გულისხმობს ორგანიზაციებში ადამიანების ისეთ მართვას, რომლის მიზანია მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენა, რათა საფუძველი ჩაეყაროს გამოგონებების დონეზე ადამიანური საქმიანობის სხვადასხვა სფეროში ახალი კონკურენტუნარიანი იდეების აღმოცენებას. მისი მიზანია ახალი იდეების გენერირება, არასტანდარტული გადაწყვეტილებების მიღება, როგორც ფირმის (ორგანიზაციის), ასევე ქვეყნის წარმატებით განვითარებისათვის. აუცილებელია მენეჯმენტის მზაობა მოისმინონ დასაქმებული პირების ორიგინალური იდეები. დაანესონ სპეციალური შეხვედრები, სადაც თანამშრომლები პირადად წარუდგენენ იდეებს ხელმძღვანელობას. თანამშრომლების კრეატიულობა, შეიძლება ითქვას, დამოკიდებულია არა მხოლოდ შინაგან ფაქტორებზე, არამედ ორგანიზაციულ კულტურაზე, სამუშაო გარემოზე, მენეჯმენტის ფორმებზე. შესაბამისად, კრეატიულობის პროვოცირება მრავალი მეთოდითაა შესაძლებელი, თუ ხელმძღვანელობის ნება იქნება და მზაობა განიხილოს სხვადასხვა მეთოდები, რაც ხელს შეუწყობს კრეატიული აზროვნების განვითარებას ორგანიზაციაში. კრეატიულმა მენეჯმენტმა უნდა უზრუნველყოს ინტელექტუალური კაპიტალის შექმნაზე მინიმალური დანახარჯები და მომავალში მაქსიმალური პოტენციური შემოსავლების მიღება. მისი მთავარი ამოცანაა ადამიანური კაპიტალის საქმიანობის შექმნა და მოტივაცია, მისი შემოქმედებითი პოტენციალის გააქტიურება. შესაბამისად, მმართველის როლი კონკრეტული მიზნის მისაღწევად გვევლინება როგორც გადამწყვეტი ფაქტორი. ყოველგვარი უპირატესობის მამოძრავებელი ძალა არის ადამიანი. დღეს, კომპანიებს კრეატიული მენეჯერები სჭირდებათ - ადამიანები, რომლებიც არსებული შესაძლებლობების მიღმა იხედებიან, ადამიანები, რომლებიც ყოველდღიურად ახალ გამოწვევებს ეჭიდებიან, კომპანიის მართვის უკეთეს გზებს ეძებენ, უბიძგებენ თანამშრომლებს განვითარებისკენ, ახალი და საინტერესო გზების აღმოჩენისკენ. მენეჯერი უნდა იყოს ადამიანი, რომელსაც უყვარს სწავლა და სწავლება, სხვა ადამიანების ჩართვა კრეატიული აზროვნების პროცესში და მათი განვითარებისათვის ყოველდღიურ, საინტერესო

გამოწვევებს უნდა ქმნიდეს. კრეატიული მენეჯერი ასეთი მენეჯმენტით უკეთეს ბიზნესსა და უკეთეს სამყაროს ქმნის. კრეატიულ ადამიანებს გამოარჩევს უნარი, თითქმის ყველა სიტუაციას მოერგონ და მათ ხელთ არსებული რესურსების საშუალებით მიაღწიონ მიზნებს. შესაბამისად, მკვეთრად იზრდება მოთხოვნა გამომგონებლურ მენეჯმენტზე და მენეჯერებზე, რომლებიც ფლობენ გენერირების უნარს, სწრაფად მოახდინონ არასტანდარტული და ორიგინალური იდეების რეალიზაცია, სწრაფად და ეფექტურად გადაწყვიტონ პრობლემური საკითხები. კრეატიული, შემოქმედებითი აზროვნების განვითარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 21-ე საუკუნეში, როდესაც ცოდნამ შეიცვალა თავისი ტრადიციული შინაარსი. თანამედროვე ეპოქაში მოქალაქის წარმატება დამოკიდებულია მის შემოქმედებით უნარებზე, რომელთა გამოვლენაც წარმოადგენს კრეატიული მენეჯმენტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას. კრეატიული მენეჯმენტის მიზანია ინოვაციური იდეების გენერირების პროცესის გააქტიურება და მმართველობითი პერსონალის მიერ ადრე უცნობი, არასტანდარტული, ორიგინალური მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღება და დამუშავება. თანამედროვე ეკონომიკაში ორგანიზაცია წარმატებულად ითვლება მაშინ, როდესაც ის არამხოლოდ ფლობს შესაბამის ცოდნას, არამედ, როცა ამ ცოდნის შექმნა შეუძლია. თანამედროვე ორგანიზაციებს სჭირდებათ არამხოლოდ „მცოდნე“ სპეციალისტები, არამედ ისინი, ვინც ფლობს გარკვეულ უნარებს. შესაბამისად, მათი ინტელექტუალური და შემოქმედებითი რესურსების ფორმირება დღევანდელ ეკონომიკაში მოქმედი ორგანიზაციების უმეტესობისათვის შემდგომი წარმატებული ფუნქციონირების, ახალი სარგებლის შექმნის ქვაკუთხედი ხდება.

ამრიგად, კრეატიული მენეჯმენტი გამოიყენება ორგანიზაციის სტრატეგიული განვითარების მიზნებისათვის, აგრეთვე მუდმივად აღმოცენებადი, საგანგებო და კრიზისული სიტუაციების დასაძლევად. დღესდღეობით, კრეატიული მენეჯმენტი თანამედროვე ბიზნესში შეუცვლელი ინსტრუმენტია, რადგან დამსაქმებელი, დასაქმებული, მომხმარებელი, ბაზარზე კონკურენცია და ეფექტური მართვა, ითხოვს ბიზნესთან კრეატიულ და შემოქმედებით მიდგომას გადაწყვეტილებების მიღების საკითხებში. შესაბამისად, მას ღირსეული ადგილი უჭირავს თანამედროვე გამოწვევების ფონზე და აქტიუალურია, როგორც წარმატებული მართვის ერთ-ერთი მთავარი მექანიზმი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნ. გალახვარიძე, თ. ზარგინავა, ე. ბარათაშვილი, „ინოვაციათა მენეჯმენტი“ თბ. 2015;
2. ლ. ქოქიაური, ნ. ქოქიაური, „ინოვაციები“, თბ. 2015;
3. ს. გორგოძე, თ. ჯანაშია - „კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება“, თბ. 2012;
4. www.education.ge/ მართვის მომავალი;
5. <http://psychologist.ge/> თ. ყაბაშვილი, „კრეატიულობა ქოუჩინგის რაკურსით“.